ხელშეკრულება № 125

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

გადაუდებელი აუცილებლობით გამარტივებული მომსახურების შესყიდვა

(მომსახურების შესყიდვა)

ზესტაფონი 22 **მაისი /2023 წელი**

ერთის მხრივ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში _ შემსყიდველი) წარმოდგენილი ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის ვასილ გველესიანი სახით (მისამართი: ქ. ზესტაფონი წერეთლის ქ. N 11) და მეორეს მხრივ შპს ,,ავანსცენა"-ს დირექტორის ეკა ნაგლიაშვილის სახით, (მისამართი: თბილისი, მუხიანი) (შემდგომში - მომწოდებელი) ვმოქმედებთ რა, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, მათ შორის საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის 2023 წლის 19 მაისის N04-222313981 მოხსენებითი ბარათის, ზესტაფონის მუნიციპალიტეტი მერის 16/05/2023 წლის N№22.22231368 ბრძანებისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარიოს 2023 წლის 18 მაისის N1527 განკარგულების **საფუძველზე** ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე,

მუხლი 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში -,,ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. ,,ხელშეკრულების საერთო ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. ,,დღე", ,,კვირა", ,,თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. ,,შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. ,,მიმწოდებელი"- პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მოწოდებას წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. ,,საქონელი" - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით მომსახურების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად **თანხის გამოყოფა განხორციელდეს ახალგაზრდულის ღონიძიებების 2023 წლის ხარჯებიდან კოდი: - 22.10.12 (გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის შემდგომ); კლასიფიკატორის კოდი: 92300000;**

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტის დასახელება

3.1. **შესყიდვის ობიექტია- შესყიდვის ობიექტი - გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე 2023** 1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის აღნიშვნის ორგანიზებისათვის საჭირო **მომსახურების შესყიდვა დანართი N1-ის (ფასების ცხრილი) და დანართი N2 შესაბამისად (ტექნიკური დავალება თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს)**

მუხლი 4. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

4.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში–ლარებში.
4.2.შესყიდვის ობიექტის ღირებულებაა 10 000.00 (ათი ათასი) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

მუხლი 5. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

5.1.შემსრულებელი ვალდებულია:

ა) მოხდინოს მომსახურეობასთან დაკავშირებული საჭირო ტრანსპორტირება;

ბ) უზრუნველყოს გახმოვანება სათანადო ტექნიკური აპარატურით.

გ) ტექნიკურ დავალებაში აღწერილ ყველა აქტივობას უნდა ჰყავდეს ზედამხედველი შემსრულების მხრიდან.

დ) ჩასატარებელი ღონისძიების მსვლელობის დეტალები შემსრულებელმა დაგეგმოს შემსყიდველთან შეთანხმებით.

ე) შეასრულოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ვალდებულებები კეთილსინდისიერად და ჯეროვნად.

5.2. შემსრულებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულების საგნის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3 . შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) შემსრულებლის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მოსთხოვს შემსრულებელს ნაკლის აღმოფხვრა.

მუხლი 6. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

6.1. შემსრულებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.
6.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

მუხლი 7. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

7.1. მომსახურეობის მიწოდების ვადა განისაზღვრება მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის დღიდან 2023 წლის 01 ივნისის ჩათვლით.
7.2. მომსახურების მიწოდების ადგილი - **ზესტაფონის მუნიციპალიტეტი;**

მუხლი 8 . ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1.შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (მათ შორის ტექნიკური ზედამხედველობა) განხორციელდება საქართველოში მოქმედი სტანდარტებისა და წესების შესაბამისად, პერიოდულად, როგორც მომსახურეობის გაწევის დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნასთან.
8.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ აცნობებს შემსრულებელს დაწუნებული სამუშაოების ნაწილისა და წუნდების მიზეზების მითითებით.
8.3.გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება შემსრულებელს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

8.4. ინსპექტირებას განახორციელებს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2018 წლის 05 მარტის N 43 259 ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

მუხლი 9.შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

9.1. მომსახურების დასრულებიდან შემსრულებლის მიერ წერილობით ოფიციალურად წარმოდგენილი მომართვიდან ინსპექტირების განხორციელება მოხდება ერთი კვირის ვადაში.

9.2.შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მომსახურების შესრულების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და შემრულებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

მუხლი 10. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი, ვადები

10.1. შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში –ლარებში.

10.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

10.3. ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიღება–ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

მუხლი 11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება და ცვლილებ(ებ)ის შეტანა

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ, მაგრამ სამუშაოს ან/და მომსახურების შესრულების ან/და საქონლის მიწოდების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 10 დღისა უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, დაუყონებლივ ,(10 დღიან ვადაში) უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2. ნებისმიერი შეტყობინება, წერილობითი ფორმით, მხარეთა მიერ ხელმოწერილი უნდა გაეგზავნოს მეორე მხარეს და ჩაბარდეს მისამართზე, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში.

11.3. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო, წარმოიშობა ხელშეკრულების პირობ(ებ)ის შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებ(ებ)ის შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია, ამ მუხლის ,,11.1.“ პუნქტის შესაბამისად.

11.4. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობითი ფორმით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმოამდგენლების ხელლმოწერებით.

11.5. ხელშეკრულების მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი რომელიმე ვალდებულების დარღვევა არ ჩაითვლება ბრალეულ დარღვევად, თუ აღნიშნული ვალდებულების შესრულების მიზნით, განსახორციელებელი ქმედება სავალდებულოდ საჭიროებს რომელიმე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნებართვის, ლიცენზიის ან თანხმობის გაცემას, მაგრამ ადმინისტრაციული ორგანო არ ახდენს აღნიშნულზე ხელშეკრულების მხარის მოთხოვნის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში განხილვას ან უსაფუძვლოდ უარს ეტყვის ხელშეკრულების მხარეს ნებართვის, ლიცენზიის ან თანხმობის გაცემაზე;

11.6. წინამდებარე მუხლი არ მოიცავს ფორსმაჟორულ გარემოებებს და მათი რეგულირება ხდება სხვა მუხლით.

მუხლი 12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა (ხელშეკრულების შეწყვეტა)

12.1.ხელშეკრულებით განსაზღვული პირობების დარღვევის შემთხვევაში ან ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ჯამური ღირებულების 0,3% ოდენობით.

12.2. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

12.2.1. ხელშეკრულება ვადამდე ადრე შეიძლება შეწყდეს:

ა) იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

ა.ბ)პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს შემსრულებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

ა.გ.) შემსრულებელი ვიდრე არ აანაზღაურებს პირგასამტეხლოს, შემსყიდველს უფლება აქვს დააკავოს აღნიშნული თანხა და პირდაპირ მიმართოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

ბ) შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ შემსრულებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას.

გ) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.3. შემსრულებელი, ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში გადაიხდის ჯარიმას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 20(ოცი)%–ის ოდენობით.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2023 წლის 03 ივლისის ჩათვლით.

მუხლი 14. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

14.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ასეთ შემთხვევებში ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 15. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

15.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

15.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

მუხლი 16. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

16.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

16.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 17. სხვა პირობები

17.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
17.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
17.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 02 (ორი) ეგზემპლიარად, რომელსაც აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

17.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

მუხლი 18. მხარეთა იურიდიული მისამართები, რეკვიზიტები, ხელმოწერები

შემსყიდველი:
ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერი

ვასილ გველესიანი

სახელმწიფო ხაზინა-**TRESGE22**
ხაზინის ერთიანი ანგარიში 3001900000
ს/კოდი: **230087045**
მის: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. N11
ტელ: 0(492) 25 26 26

მიმწოდებელი:
შპს „ავანსცენა“

დირექტორი: ეკა ნაგლიაშვილი

სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ანGE08BG0000000101099304;
ს/კოდი:400239568
მის: თბილისი, მუხიანი;
ტელ:599 888 583;

განთოლ

შემსყიდველი: ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია

საიდენტიფიკაციო კოდი: # 230087045 მისამართი:ქ.ზესტაფონი,წერეთლის #ქ.11

ხაზინის ერთიანი ანგარიში ტელ: (0492) 25 26 26

მასალის დასახელება	ზომის ერთ.	რაოდენობა	ერთის ფასი (ლარში)	თანხა (ლარში)	შენიშვნა
გრძელი ფერადი ბუშტების ფიგურა, რომლებიც ადგილზევე დამზადდება და გადაეცემათ ბავშვებს.	ცალი	500	1	500,00	2 პიროვნება
ოჩო ფეხი (საპნის შოუს წარმოდგენით)	ცალი	1	350,00	350,00	1 პიროვნება
ნებისმიერი ზღაპრის პერსონაჟი, გადაცმული ზღაპრის გმირები. (შემსყიდველთან შეთანხმებით).	ცალი	4	250,00	1000,00	3საათის განმავლობაში 20 წუთიანი 2 შესვენებით თითო პერსონაზე მორიგეობით.
სახეზე მომხატველი	ცალი	3	250,00	750,00	ანტიალერგიული სახის საღებავები, ფუნჯები

5	თაბაშირის გასაფერადებელი ფიგურები, (ყვავილი, ვასკვლავი და სხვა) ადგილზე გაფერადება ბავშვების მიერ.	ცალი	280	2,50	700,00	1 პიროვნება
6	საღებავი 12 ფერიანი	შეკვრა	10	15,00	150,00	
7	ფუნჯი 12 ცალიანი	შეკვრა	3	15,00	45,00	
8	ფეხბურთის კარი ბურთით, ასაწყობი, ზომა:2X2მ, მასიური რკინის დასაშლელი კონსტრუქცია, მყარი.	ცალი	1	500,00	500,00	
9	ინტერაქტიული სასურათე ჩარჩო ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გერბით და წარწერით.	ცალი	1	300,00	300,00	
10	ცხოველების ფორმის სასურათე ბანერი, მასალა-ხე, სხვადფასხვა ცხოველის გამოსახულებით. სიმაღლე არანაკლებ 150 სმ.	ცალი	1	500,00	500,00	
11	დროშის გირლანდები, ფერადი, სამკუთხედის ფორმის	მეტრი	350	4,70	1645,00	
12	ფერადი ბოლი. 60 წამიანი. (წითელი, ყვითელი, მწვანე)	ცალი	6	10,00	60,00	
13	ჰელიუმის ბუშტები, ფერადი.	ცალი	1000	2,50	2500,00	
14	ჯამბაზი რეკვიზიტებით, 90 წუთიანი შოუ პროგრამით	ცალი	2	250,00	500,00	2 პიროვნება
15	ანიმატორი ჯამფერები	ცალი	2	250,00	500,00	
					სულ: 10000 ლ.	

თანხა სიტყვიერად : ათი ათასი ლარი

დირექტორი: ეკა ნაგლიაშვილი

თარიღი: 3/05/2023წ.

Eka Nagliashvili 01003012211

Digitally signed by Eka Nagliashvili
Date: 2023.05.03 00:53:50

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე

დანართი N2 ტექნიკური დავალება

1. ღონისძიების განმავლობაში, 2 პიროვნების მიერ, გრძელი ბუშტებით ფიგურების დამზადება და ბავშვებისთვის გადაცემა. ბუშტების რაოდენობა -500 ცალი.

2. ტერიტორიაზე, ღონისძიების განმავლობაში, პერიოდულად უნდა მოძრაობდეს 1 ოჩო ფეხი საპნის ბუშტების შოუს წარმოდგენით.

3. ნებისმიერი ზღაპრის პერსონაჟი. გადაცმული ზღაპრის გმირები. (შემსყიდველთა შეთანხმებით) არანაკლებ 3 საათის განმავლობაში უნდა მოძრაობდეს ზღაპრის 4 გმირი. 20 წუთიანი 2 შესვენებით თითო პერსონაზე მორიგეობით.

4. ღონისძიებაზე, 3 საათის განმავლობაში უნდა იყოს 3 სახეზე მოთხატველი. გამოყენებული უნდა იქნას სპეციალური, ანტიალერგიული სახის საღებავები და ფუნჯები

. 5. თაბაშირის გასაფერადებელი ფიგურები (ყვავილი, ვარსკვლავი და სხვა), რომლებსაც გააფერადებენ ბავშვები და თავიანთი ნახელავი გადაეცემათ სამახსოვროდ. რაოდენობა - 280 ცალი ფიგურა თავისი საღებავებით და ფუნჯებით. (1 პიროვნება).

6. ფეხბურთის კარი ბურთით, 1 ცალი, სავარჯიშო გოლის გატანა, ასაწყობი, ზომა 2მ/2მ, მასიური რკინის დასაშლელი კონსტრუქცია, მყარი, რომ ბურთის დარტყმას გაუძლოს.

7. ინტერაქტიული სასურათე ჩარჩო ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გერბით და წარწერით. რაოდენობა - 1 ცალი.

8. ცხოველების ფორმის სასურათე ბანერები - ხის მასალის ბანერები, სხვადასხვა ცხოველების გამოსახულებით, სიმაღლე - არანაკლებ 150 სმ ზომის. რაოდენობა - 1 ცალი.

9. ფერადი დროშის გირლიანდები - სხვადასხვა ფერის, სამკუთხედი ფორმის გირლიანდები, ჯამში 350 მეტრის. შემსყიდველი უზრუნველყოფს დროშების განთავსებას.

10. ფერადი ბოლი, თითო 60 წამიანი. (წითელი, ყვითელი, მწვანე და სხვა). რაოდენობა - 6 ცალი. 10. ჰელიუმის ბუშტები, ფერადი - 1000 ცალი.

11. ჯამბაზი- 2 პიროვნება, რეკვიზიტებით, ღონისძიების წინასწარ შედგენილი პროგრამის მიხედვით უზრუნველყოფს შოუს წაყვანას, ბავშვების გართობას და ჩართვას სხვადასხვა აქტივობებში (უნდა ჰქონდეს თამაშებისთვის საჭირო ინვენტარი, თამაშები დამკვეთთან შეთანხმებით) ბავშვების გასართობი 90 წუთიანი პროგრამა. 12. ანიმატორი ჯამფერი- 2 პიროვნება.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერი

MUNICIPALITY OF ZESTAFONI
230087045
CITY HALL